

პავლე იმპერატორის

როგორ ჩამოართვა

გიორგი გევას

საქართველო

34046

ჭ. ჭიშინაძისა

ფასი 5 ბან.



1920

თბილისი

სტამბა ბ. კილაძისა, ამერიკის ქ. № 3.



## როგორ მოატყუა პავლე იმპერატორმა მეფე გიორგი.

მეფე ერეკლემ თავის მეფობა ისუ დაასრულა, რომ  
ცირ-იქმნა და რუსებს კბილებიც კურ მოაკიდებინა საქარ-  
თველოზედ. ვერ იქმნა და ვერ ელირსათ რუსებს საქარ-  
თველოს ხელში ჩაგდება, თუმცა რუსნი ამისთვის ბევრს  
ეცადნენ, ბევრი იწვალეს, ფულებიც ბევრი დახარჯდა,  
ხშირათ ხალხიც ბევრი სწყვიტეს თუ რუსნი და თუ  
ქართველები, მაგრამ მათს წადილს არა ეშველა რა და  
არ ელირსათ საქართველოს ხელში ჩაგდება, ბევრის მეცა-  
დინების შემდეგ ის კი მოახერხეს, რომ მეფე ერეკლეს  
და სოლომონ იმერთა მეცეს 1783 წ. რუსეთის მფარვე-  
ლობა აღიარებინეს და ამისთვის „ტრაკტატიც“ დასწერეს,  
პირობა შეჰქრეს ფიცით.

რუსების ფიქრით, ეს იყო პირველი ნაბიჯი საქარ-  
თველოს ერის დალუპვის დღეებისა, ამიტომ იგინი, მეფე  
ერეკლეს მეფობაში, ამასაც დიდის სიამოვნებით დასჯერ-  
დნენ და ფიქრობდნენ, რომ მეფე ერეკლეს წინაშე, ჩვენ-  
გან ესეც დიდი საქმეა. დღეს ეს მფარველობა იქნება  
და ხვალ და ზეგ სულაც ჩვენი გახდება საქართველოვნ. ასე  
ფიქრობთნენ რუსები, მაგრამ იმედი არ გაუმართლ-  
დათ, მეფე ერეკლემ ისე დალია სული, რომ რუსებს არ  
აღირსა საქართველოში ფეხის შემოდგმა, საქართველოს  
დამორჩილება. მეფე ერეკლეზედ რუსებს გული გაუტყდათ,  
ამიტომ იგინი გარს. ჭავჭავაძის რჩევით დაუმეგობრდნენ  
და დაუახლოვდნენ მეფე გიორგის.

მეფე გიორგი მალე გადიბირეს, დაუწყეს საჩუქრე-  
ბძს მიცემა. საქმე იქამდის მივიდა, რომ მალე ქართველი  
შეფე რუსის იმპერატორის პავლესი დიდი ერთგული და

მაქებარიც გახდა, ეს ამბები გარს. ჭავჭავაძემ პავლესაც აცნობა. ამით რასაკვირველია იმედი მიეცათ, რომ ახლა-  
კი საქართველოს ჩავიგდებოთ ხელში, მხოლოდ ეს მოხდება  
იმ დროს, როცა ერეკლე მეფე მოკვდება და გიორგი გა-  
მეფდებათ, ამათ ბედზე ესეც მალე მოხდა და 12 იანვარს  
1798 წ. გარდაიცვალა მეფე ერეკლე. მეფის გარდაცვა-  
ლება პავლესაც მალე აცნობეს.

პავლე იმპერატორმა შეფეხ გიორგის სამძიმარის სათ-  
ქმელათ გარს. ჭავჭავაძეც გამოუგზავნა და მის მერე, როცა  
გიორგი მეფე გამეფდა, მაშინ გიორგი მეფეს მოლოცვა  
მოუვიდა და მასთან სამეფო ნიშნები და დამტკიცებანიც  
1783 წ. ტრაქტატის ძალით. გიორგი მეფეს თავის გამე-  
ფება ცოტათი გაუჭირდა, რადგანაც იყო უგვანა კაცი  
იყო, შინაურებში ბევრი მტერი და მოწინააღმდევე ჰყავ-  
და, ამით ისარგებლეს რუსებმა და გიორგი მეფეს მჭიდ-  
როდ მოხვიეს ხელი, ამ მეფის სისუსტით ისარგებლეს და  
1801 წ. დამდეგს თვისი წადილი შეისრულეს და საქარ-  
თველო ხელში ჩაიგდეს.

ეს შეჩვენებული და ქართველთა რომის დამღუპ-  
ველი საქმენი მოხდა სწორედ მეცხრამეტი საუკუნის დამ-  
დებს, ისეთს დროს, როცა დამონებული საქართველო  
უნდა განთავისუფლებულიყო, ის კი ორა, ამ დროს თავი-  
სუფალ საქართველოს ერი, უსამართლოდ, ევროპის სახელ-  
შიფონთა დაუკითხავათ, დამონებულ იქმნა რუსთაგან.

როცა საქართველოს ერს გაჭირვება პქონდ, როცა  
ქართველებში ქუდზედ კაცის ძახილი იყო, როცა საქარ-  
თველოს შემოესია მურვან ყრუ, ჩინგის ყაენი, მონგო-  
ლები, შაპაბაზი და სხვან, როცა საქართველო ასეთს  
დიდს გაჭირებაში იყო, როცა ქართველებში ქალებიც კი  
გადიოდნენ საომრად, და ხშირად სწარმოებდა პარტიზა-  
ნული ომები, მაშინ არავის ჩაუვარდა ეს ჭვეუანა ხელში  
მონად და როცა ქართველთ განვლეს მძიმე დღენი, როცა

ყველაფერი დაწყნარებას მიეცა და მასთან დადგა 1801 წელიც, ანუ მეცხრამეტე საუკუნე, ამ დროს ქრისტიანობის სჯულის ერთობის საქმის დალოლიებით და მოტყუებით ხელში ჩაიგდეს მონად საქართველოს ერი და მისი სამეფო.

საქართველოს ასეთი დაღუპვა და ცოცხლივ დამარხვა მოხდა ისეთ დღეს, როცა რუსების ბოროტება ჩვენმა მეზობელ ოსმალ-სპარსელებმაც იგრძნეს კარგად, როცა ესენიც კი დიდათ ეხვეწებოდნენ ქართველებს, რომ თქვენ, ოლონდ რუსებს ნუ შეუერთდებით და ჩვენ პირობას მოგცეით რომ დღეის შემდეგ თქვენს ქვეყანაში ჩვენი კაცის ფეხი აღარ შემოიდგასო. თქვენში ჩვენგან ქათამიც არავის აუფრინდებათ.

სწორედ ასეთ დროს, რუსებმა იპოვნეს დრო და უნიჭო, სხეულით და გონებით სუსტის, ზაქი ჭაშიას, მეონებით საქართველო ხელში ჩაიგდეს.

ეს ბოროტება მოხდა გიორგი მეფის გონებრივი სისუსტით და თავის ძმების, დედინაცვლის, ბიძების და შვილების ჯავრით და არა საქართველოს, გაჭირვებულის მღვმარეობით. ამაში დამნაშავეა თვით მეფე ერეკლეც, რომ ამან თავის უნიჭო შვილს გიორგის თავი არ მოსჭრა და მის მაგიერ იულონი არ დანიშნა მეფედ, ეს სულ ამ გმირი მეფე ერეკლეს შეცდომა გახდათ. გარნა მეფე ერეკლე მარტო ამაში არის დამნაშავე.

მაინც რუსებმა გიორგის წინაშეც თავისებურ ძველის გზებით დაიწყეს მოქმედება, ამათ აირჩიეს, ორი გზა, ერთი იყო გზა მრუდობის და მოტყუილების. ისე, როგორც მათ ატყუილეს მეფე თეიმურაზი, ვახტანგი და ერეკლე. მეორე გზა იყო დალოლიავების, შესყიდვის და მეგობრული დამორჩილების, რა არის, რაც შეიძლება მაღე მომხდარიყო საქართველოს ერის დამარხვა და დაღუპვა, ასე რომ გიორგი მეფე თუ მოტყუილებით არა, სხვა შემთხვევით მაინც ჩაიგდებდნენ ხელში, ამიტომაც

იგინი ორ-ნაირს ბოროტს მოხერხებას და რუსულ პოლიტიკას ამუშავებდნენ მეფე გიორგის წინაშე.

გონებით ჩლუნგი მეფე გიორგი, როგორც იქმნა რუსეთის მანქანებით გამეფდა 1798 წ., და სამეფო ტახტზედ ავიდა, გიორგის თავზე მეფობაში, ერთხელ ავარიის თმარხანთან ომი მოუხდა, ეს ომი იყო კახეთისაკენ, ივრის ხეობაზედ, ამ ომს ეწოდება „ნახურის ომი“. ამ ომისაგან სნეული მეფე გიორგი დიდათ დალონებული იყო, მას ძალა და ლონე არ ჰქონდა, მეტი გზა არ იყო, მან მალე ჰავლე იმპერატორს მიჰმართა და ჯარით დახმარება სთხოვა, გიორგის მალე მოუვიდა ცნობა, რომ ჰავლე იმპერატორმა ინება დახმარების მოცემაო.

ამ ამბავმა გიორგი მეფე დიდათ გაახარა.

მეფე გიორგი სიხარულს მიეცა, ამიტომ დაუწყო ჰავლე იმპერატორს ქება-დიდება და მალე ამ ქებამ იგი იძტენად გაიტაცა, რომ ჰავლე იმპერატორი ქრისტეს შეადარა და ბოლოს ქრისტეზე მაღლაც დააყენა.

მართლაც დაპირება გამართლდა და საქართველოში შემოვიდნენ რუსის გენერლები ბულგაკოვი და ლაზარევი, ამათ შემოიყვანეს რუსეთის ჯარი 1200 კაცი, ესენი დროით წარუდგნენ მეფე გიორგის და მიულოცის გამეფება და მასთან ომში მონაწილეობის მიღებასაც დაპირდნენ, დააიმედეს მეფე, რომ ომში ჩვენ უსათუოდ გავიმარჯვეთო. მეფე ალივსო დიდის სიხარულითა და გული დაიმშვიდა.

ავარიის ომარ-ხანის ჯარს წინამძლოლობდა ალექსანდრე ბატონიშვილი, ძმა გიორგი მეოისა. ამათ სურდათ გიორგი მეფის დამარცხება, რუსების განდევნა საქართველოდან და გიორგი მეფის მაგიერ იულიონის გამეფება. ამას ითხოვდა ბაბა-ხან ფეთალი შაჰიც. ამ ომის შესახებ ქართულსა და რუსულ ენაზე ბევრნაირი ცნობები არის დარჩენილი და ყველაფერი ყალბად არის

ანუსხული, რომ ვითომც „ნიაზურის ოში რუსებმა და ქართველებმა გაიმარჯვეს, ანუ ქართველებმა გაიმარჯვეს რუსების დახმარებით. ეს გამარჯვება აი როგორ მოხდა, რასაც მოწმობენ მეფე გიორგის შვილები დაწვრილებით და დალაგებით.

ალექსანდრე ბატონიშვილი იყო გმირი კაცი, ივანე მეუნარგიამ სამართლიანად უწოდა „საქართველოს მიტრიტადი“. ამ გმირ კაცს ომარ-ხანმა მიანდო თავის ლაშქრის 30,000 ათასი კაცი, ამასვე ჰყავდა თავის მომხრეთა რიცხვი: 5000 კაცი, ბაბა-ხანმა მისცა 15000 კაცი. სხვა და სხვა კუთხის სახანოდან ელოდა კიდევ 5000 კაცს, ასე, რომ. ალ., ბატონიშვილი გიორგი მეფესთან შესაბმელად მოდიოდა 60,000 კაცით. გიორგი მეფეს კი ჰყავდა სულ 1000 კაცი და რუსეთის ჯარისაც 1200 კაცი, მაშასადამე სულ 2200 კაცი. ეს ორი ათასი კაცი უნდა შეპიროდა 60 კაცს. დანიშნულ დროს, მეომრები გამოჩნენ, თავის ალაგს, ალექსანდრე ბატონიშვილმა გადაავლო ოვალი ქართველთა და რუსის მხედრობას, უცბად ამას გაახსენდა თავის მამის, მეფე ერეკლეს მცნება და სიფრთხილე, რომ რაც შეეძლება ყოველთვის და ყოველგან მოვალეა ყოველი ქართველი, რომ იგი ეცადოს და მით რაც შეიძლება ცოტა ქართველი მოკვდესო.

ამის გარდა ალექსანდრეს გაახსენდა ერეკლე მეფის ბევრი სხვა დარიგებანი, ამიტომ ცოტა არ იყოს, მას შერცხვა თავის თავის და სთქვა გულში, რომ ჩემგან ეს იქნება დიდი ცოდვა და ჩემი მამის ერეკლე მეფის დავალების გმობა, რომ ჩემის ძმის ბეცის გიორგის მტრობით და ჯიბრით ათასი ქართველი კაცი მოკვდაო.

მე ამას ვერ ვიზამ, თვით გიორგი უნდა იყოს აქ, რომ იმას ვეცე საქართველოს ლალატისათვის და ყელი გამოვლადროვო. გიორგი არათ ლირს, ჩემი გმობა და

ზერცხვენა იქნება რომ მისის ბოროტების გულისოფის ათასი კაცი ქართველი გავიმეტო და გავაფუჭოვო.

ეს გმირი კაცი, ანუ საქართველოს მიტრიდატი დიდის მამულის შვილურის გრძნობით აღიერს. ამით იკი დიდათ და მწარეთ დალონდა. მან გადაწყვიტა: არა, მე საქართველოს ათას ქართველ კაცს არ მოვკლავ. მე ისევ უკან გავბრუნდები და მცირე რამ შეტაკების გარდა ომს არ განვაგრძნობ.

ალექსანდრე ბატონიშვილმა სხვა ჩანებთან ისაუბრა, აუწყა, რომ რუსის ჯარით ქართველები დაგვამარცხებენო, ამიტომ უმჯობესია, რომ ომი შევაჩეროთ და ამაღამ გავიპაროთო, მით ჯარი გადავარჩინოთო. ხანებს ესეთი დარიგება დიდათ მოეწონათ და საღამოს ჟამს ალექსანრე ბატონიშვილმა თავისი ჯარი უკან დასწია, ომი შეჩერდა, მეორე დღეს, ის ჯარი უკვე თავის უზას გაუდგა და მით ეს „ნიახურის ომიც“ გათავდა.

გულაკოვმა და ლაზარევმა ესეთი გარემოება ქართველთა და რუსთა გამარჯვებათ ჩასთვალეს და ესენიც მაღე დაბრუნდნენ თბილისში ვითომც და გამარჯვებულნი, მაღე ეახლნენ სხეულს და ლოგინში მწოლ მეფე ვიორგის, მოახსენეს თვისი გამარჯვება, ამ გარემოებამ მეფე ვიორგი ისე გაახარა, რომ თვით ვიორგიმ და სამეფო ოჯახის ქალებმა ხელებიდან ძვირფასი ბეჭდები გაიძრეს და გენერალ გულაკოვს და ლაზარევს გაუკეთეს, ასევე სხვა რუსუსის აფიცრებს და ჯარის ქაცთაც სცეს პატივი. ამას ასე მოწმობს ისტორიკოსი პ. იოსელიანი მეფე ერეკლეს ქალის რეფსიმეს სიტყვით.

ასე და ამგვარათ მოხდარა ამ „ნიახურის ომის“ საქმე, რუსეთის სამხედრო მინისტრებსაც ეს ყალბი გადმოცემა უწერიათ იეთის ცნობებით, რითაც გამოქვეყნდა ის გარემოება, რომ „ნიახურის ომში“ ქართველებმა გაიმარჯვეს რუსების ჯარის და გენერლების დახმარებით.

ამ სიცრუეს ნათლად აჭეშმარიტებს ის გარემოებაც, რომ ისტორიკოსმა პლატ. იოსელიანმა, ქართულს ენაზმდ დასწერა „მეფე გიორგის ცხოვრება“. იქ ამ მეფის მოქმედების ყველა წვრილმანი ამბებიც კი ასწერა, „ნიახურის“ ომის შესახებ კი არასთერს სწერს. ერთ ადგილას კი შემდეგი სტრიქონებიც კი მოჰყავს ამ ომზედ, აი მისი სიტყვები:

„რადგანაც ნიახურის ომი“ რუსულად და ქართულად მრავალთაგან არის აღწერილი, ამიტომ მე ამას აღარ ავსწერ“ ამ სიტყვების დასკვნა ის გახლაესთ, რომ ამ ომის ამბები სიცრუით არის აღნუსხული და ამიტომ მე მას აღარ ავწერო. მე ასე ვსხნი ამ გარემოებას. ამ ყალბად აღნუსხულმა ომის ამბებმა მეფე გიორგი ისე მოქარებეს და მოაწყეს საქმე, რომ ამ ტყუილი გამარჯვების მეოხებით, რომ წინათ თუ პავლე იმპერატორი ქრისტეზედ მაღლა დააყენა, ახლა პავლეს გენერლები გულაკვი და ლითარევი ქრისტეს მოციქულების მსგავს პავლეს მოციქულებად ჩათვალა.

ამ ოსტატურს ჯადოქრობას მალე მოჰყავა ის გარემოება, რომ რუსთაგან ნასიამოვნები დამტკბარი მეფე გიორგიმ საყოველთაოდ გადასწყვიტა საქართველოს განცემა და რუსეთის იმპერიასთან დაკავშირება, რითაც ის სიამოვნებას გულში ფიქრობდა, რომ“, ეს იყო ჯიბრი იულონ ბატონიშვილისა, ალექსანდრე ბ. ტონიშვილის და თვისის დედინაცვლის დარეჯან დედოფლის.

გიორგი მეფის განხრახვა სპარსეთის ყაენმა ბაბახანმა მალე შეიტყო, ამაზე ბაბახანი დიდათ დაფიქრდა, ამიტომ მან მალე მიიწვია თვისთან სპარსეთში მცხოვრები ალექსანდრე ბატონიშვილი, ამას მოელაპარაკა ბაბახანი და თან გიორგი მეფის შესახებ დარიგება ჰკითხა, როგორ მოვექცე გიორგი მეფეს, რომ ეგები მან საქართველო რუსეთს არ შეუერთოს. ამის დარიგებას გთხოვ,

რომ მომცეთ თქვენაო, რომ მეც ისე, თქვენის დარიგების თანახმად მივმართო გიორგი მეფესაო.

ალექსანდრე ბატონიშვილმა ბაბახანს როგორი დარიგება მისუა, ამაზედ ბატონიშვილები არაფერს მოგვითბობენ, მხოლოდ ამ გარემოების შემდეგ ბაბახანმა გიორგი მეფეს მოციქული გამოუგზავნა, სთხოვა რუსებისაგან ხელის ალება, დამეგობრება ძველს მეზობელ სპარსეთის ყაენთან, რისთვისაც იგი მეფე გიორგის აძლევდა სხვადასხვა პირობებს, რომელი პირობანიც გიორგი მეფის შვილს დავითსაც აქვს აღნუსხული თვის დღიურში, იმას კი ვიტყვით, რომ ბაბახანს ვინ ურჩია ამ პირობების შედგენა და წარმოდგენა, ეს ვინ ასწავლა ბაბახანს და ვინ დაარიგა, ამის ცნობა არა გვაძეს. ვთიქონობთ კი უეჭვოთ, რომ იგი ალექსანდრე ბატონიშვილის დარიგება უნდა იყოს და პირდაპირ მასი მოსაზრება. ეს რომ ცხადია და მართალი, ამას გამოაჩენს თვით აი ამ პირობების მოყვანა თავის სისრულით.

საჭიროთ ვსთვლით, რომ აქ მოკლეთ მოვიყვანოთ ცნობები მასზედ, თუ ვინ იყო ბაბა ხან ფეთ-ალი შაჰი. ეს იყო ძმის წული ალა-მაჰმად ხანისა, ალა ბაჰმად ხანი დაკოდილი იყო, უცოლ-შვილო, ამიტომაც ამის მოკვლის შემდეგ 1797 წ. სპარსეთის ყაენათ დანიშნულ იქმნა ალა-მაჰმად ხანის ძმის წული ბაბა-ხენი, რომელსაც ტახტზედ ასვლის შემდეგ ფეთ-ალი შაჰი უწოდეს.

მეფე გიორგის ყეინისაგან მოუვიდა მოციქულით, ბაბა ხანის ფარეშ ბაში მამად-ხან ყაჯარი, ნათესავი თვით ყაენისა და რამოდენიმეც სხვა ხანები. ამათ მეფე გიორგის გადასცეს ყაენის სალაში, მოკითხეა, მეგობრულ ნატერა და საქართველოს სამეფოსთან ერთობის სიყვარული, მეზობლურს განწყობილება, ამასთანავე აუწყეს შემდეგი:

ამიერიდან ბაბა ხან ფეთ ალი შაჰი სპობს მტრობას საკართველოს სამეფოსთან.

ამიერიდან ისპობა სპარსთაგან ჩუმათ, ქურდულათ თავ-დასხმა საქართველოზედ, ომიანობა ქურდულათ და სხვაც ასეთივე ლექთაგანაც.

ბაბა ხანი იქნება ყოველთვის მფარველი და მომხრე საქართველოსი და გიორგი მეფისა.

ამისთვის ყაენი მეფე გიორგის მისცემს პირობას, ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულობის ძალით სპარსთა და ქართველთ შეერთების საჭმეს ყოველთვის იქნება მტკიცედ დაცული და მტერი საქართველოსი იქნება მტერი ირანისა. ყოველივე დაპირებანი, რომ სპარსთაგან სიმტკიცით იქნება დაცული გიორგი მეფის წინაშე, ამის საწინდრათ ბაბა-ხანი მეფე გიორგის და საქართველოს სამეფოს უერთებს შემდეგ ადგილებს:

მთლათ ბაქო-შირვანი, ანუ დაღესტანს თავის შიდა-მოებით.

ბაქოს ქალაქს, მთლათ თავის ადგილ მდებარეობით, ანუ მთელის თვისი გუბერნიით.

განჯას, აგრეთვე მთელა სახანოს ადგილებით და ამასთან ახლოს მდებარე სხვა ადგილებსაც, ადგილები როგორც ემორჩილებოდნენ მეფე ერეკლეს 1795 წლამდის ამ წელს კი ეს ადგილები ქართველებს აღა მაჰმადხანი ჩამოართვა.

ამას გარდა ბაბა ხანი გიორგი შეფეხს ეხმარებოდა სამხედრო იარაღით, სხვა და სხვა საჭირო საქონდლით, ოქროსა და ვერცხლის ფულით, და ცხენ-ჯორ აქლემებითაც.

ყოველს გაჭირვების დროს სპარსეთის ყაენი თავის ხალხიც იქნება გურჯისტანის დამხმარე, ყველა ამაების სანაცვლოთ ბაბა ხან ფეთ აღს შაჰი. აი რას სთხოვს და ავალებს საქართველოს მეფე გიორგის.

პირველი, რუსეთის სახელმწიფოსაგან ჩამოშორებას და შორს დადგომას.

მეორე, საყოველთაოთ მათთან მეგოპრობის მოსპობას და დამოკიდებლობას.

მესამე, რომ გიორგი მეფემ არამც არ არამც საქართველოში რუსები არ შემოუშვას.

ამ დროს, საქართველოში უკვე მთელი დასი არსებობდა ისეთის ქართველების, რომელნიც გარსევან ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, შესყიდულნი იყვნენ რუსთაგან ფულით, ასეთ გაყიდულ პირებში თბილისის მოქალაქელნიც მრავლად იყვნენ ჩარეული, ზოგი ამათგანი პეტერბუგს და მოსკოვშიაც კი სცხოვრობდნენ და ვაჭრობდნენ კიდეც. ყველგან იგინი სცოვრობდენ, ვაჭრობდენ რუსეთის ხაზინის ფულით და ამისანაცლოდ იგინი მოქმედებოენ ისე, რომ რაც შეიძლებოდა საქართველოს მაღე გასთხროდა თეისი დასამარხი სამარე. თბილისში მცხოვრებ ასეთ გამცემლებმა მალი შეიტყეს ბაბა ხანის განზრახვა, ამათ ამის ამბები მაღე რუსეთში გარს. ჭავჭავაძეს აუწყეს, ამანაც მაშინათვე პავლე იმპერატორს აცნობა, პავლე ამაზედ დალონდა და გარსევანს დაავალა შეელა და საქმის მოწყობა, რომ საქართველო სპარსეთს არ დამეგობრობდა. ამიტომაც პავლე იმპერატორმა დასწერა წერილი მეფე გიორგისთან, ეს წერილი საქართველოში გამოატანა გარსევან ჭავჭავაძეს და თან ამასაც დაავალა, რომ პირადის ლაპარაკითაც დაეყოლებინა გიორგი მეფე და როგორმე მისი განზრახვა ჩაეშალათ.

გარსევანი მაღე გაჩნდა საქართველოში, წარუდგა მეფე გიორგის, გადასცა პავლე იმპერატორის წერილი, მოხსენა ბევრი რომ პავლესაგან დაპირების და ბევრის მეცადინეობის შემდეგ გიორგი მეფე დაიყოლია და პირობა ჩამოართვა, რომ იგი ბაბახან ყაენთან მეგობრობას დაარღვევდა.

ამის შემდეგ, გახარებული გარსევანი ისე რუსეთში გაეშურა და პავლე იმპერატორს წაულო სასიხარულო

ამბავი, რომ გიორგი მეფე თქვენსკენ არის და სპარსეთის ყაენის მეგობრობა დაარღვია უკვეო. ერთი სიტყვით საქმე ისე მოეწყო, როგორც გარსევანს და პავლეს სურდა. ამიტომ ნურვინ გაბედავს გარსევან ჭავჭავაძის დაცვას და უცოდველობას, თავი და ბოლო საქართვილოს ერის დალუბვისა ეს პირი გახლავსთ.

ამავ გარსევან ჭავჭავაძის დარიგებით პავლე იმპერატორმა აი რა ნაირი წერილი მოსწერა მეფე გიორგის. ეს სიტყვები მოჰყავს მეფე გიორგის შეილს დავითს, რომელსაც უეჭველია ყოველივე დაეჯერება.

ბაბა ხანის ამბავი რომ შეუტყვია პავლე იმპერატორს, ეს წერილი მაშინაოვე მოუწერია ასე:

„მსმენელმა ამისამან იმპერატორმან როსიისმან პავლემ სწრაფულ წარმოუდგინა წერილი თვისი შეფეხსა გიორგისა და ალუთქვა შეწევნა და, რაიცა ნებავს, საქმისა სრულ ყოფნი რათა არა მიერთოს მეფე სპარსთა“.

ამ წერილმა მეფე გიორგი დიდათ გაახარეს, თითქმის ცაში აღაფრინეს იგი და დიდი იმედები მისცეს თვის მტერზედ ჯავრის ამოყრის. მეფე გიორგი ნამეტურ ასიამოვნა იმ გარემოებამ, რომ პავლე იმპერატორი მას საკუთარის ხელით სწერდა წერილს. ამ გარემოებამ ვინობგი მეფე მოხიბლა, რომ ამან ბაბახანთან მეგობრობის და კავშირის ყოველივე უარი ჰყო და გადასწყვიტა, რომ მე რუსეთს უნდა შეუერთდე უსათუოდო.

ამ დროს, მეფე გიორგიმ გარსევან ჭავჭავაძესთან დამატებათ გაგზავნა გიორგი ავალიშვილი, ძე იოანე მეიორისა და დააბარა პავლესა და გარსევანთან რომ მე მამახასთან გავწყვიტე ყოველნაირი კავშირი, ეხლა მინდა რუსეთთან შეერთებაო. ამავ გიორგი ავალოვს დაავალა, რომ ჩემს მანდატურ უზუცეს გარსევან ჭავჭავაძეს უთხარით, რომ იგი რუსეთში დარჩეს ისევ, მაგის ყოფნა

შანდ არის საჭირო ჩვენთვისო, საქართველოში ჯერეთ  
ნუ ჩამოვავო.

გარსევან ჭავჭავაძესაც ეს უნდოდა, ეს სასიხარულო  
ამიავი, მან პავლესაც მალე აცნობა, ისიც ახარა, რომ  
„ახლა კი საქართველო მალე იქნება თქვენიო“. ამით  
მოხდა დიდი სიხარული მათი, ამ სიხარულს საზღვარი  
აღარ ჰქონდა. ამის სამაგიეროთ პავლემ დიდი მოწყალება  
უბოძა იმ ქართველთ, რომელთა ცდითაც საქართველო  
ნელნელა რუსების საკუთრებათ ხდებოდა, მოეწყო საქმე,  
რომ გარსევან ჭავჭავაძე ხელდახელ გაჩნდა გიორგი მე-  
ფის კარზედ, ამან გიორგის მოუტანა პავლეს სამადლო-  
ბელო და შევრი რამ დაპირებანი. მეფე გიორგის ისე  
გაეხარდა პავლეს მადლობა და დაპირებანი, რომ გარ-  
სევანს ჭავჭავაძეს მალე მოკლეთ და გულდასმით უთხრა  
შემდეგი.

„მე ყველაფერს შევასრულებ ისე, როგორც პავლეს  
სურს და თქვენც მირჩევთ, მხოლოთ ამისთვის მე ვითხოვ,  
რომ მეფე ერეკლემ შეატანა თავი თვისი მფარველობისა  
ქვეშე როსიისათა პირობითა მით ვითარცა განეწესათ  
პირობისა წერილი (ესე რაკტატი) იმპერატრიცა ეკატე-  
რინესა და მეფე ერეკლესი, რათა პირობა იგი იყოს  
მტკიცეთ და ეგოს მეფობა ბაგრატიონთა საუკუნოთ ქარ-  
თლსა შინა მემკვიდრეობით მემკვიდრედ“. აი ეს არის  
გიორგი მეფის პირობა, გიორგი მეფე დაარიგა სოლომონ  
ლვონიძემ, გიორგი მეფემ ეს დაავალა გარსევან ჭავჭა-  
ვაძეს და ამიტომ იგი ხელ ახლად გაისტუმრა რუსეთში  
პავლესთან ამ პირობების გადასაცემათ. გარს. ჭავჭავაძეს  
თან გააყოლა გიორგი ავალოვი და ელიზბ. ფალავანდოვი  
და მათთან ოორმეტიც ფიცის კაცნი.

გარსევანი მალე ჩავიდა რუსეთში და ყოველისფერი  
მოახსენა პავლეს. მათ ითათბირეს და პავლეც თანახმა  
გახდა გიორგი მეფის პირობაზედ. ამ თანახმობის საუწ-

ყებლათ მეფე გიორგის წინაშე საცნობლათ პავლემ და გარსევანმა შეკრეს მელური საიდუმლო პირობა, აქ მოხდა დიდი ბოროტება და გველობა. ქარს. ჭავჭავაძემ აუკუნ პავლეს შემდეგი.

თქვენ გახდით თანახმა მისის წინადაღების, გიორგი მითუ სნეული კაცია, იგი მალე მოკვდება და მის შემდეგ საქართველო თქვენი იქნება, მართლაც პავლემ მალე აცნობა გიორგი მეფეს თვისი თანხმობის ცნობანი და ამასთანავე სხვაც ბევრი რომ რუსებისაკენ მისაბირები გვლობანი. ამ ფაქტების გასაცნობათ ჩვენ მოვიყვანთ ისეც იმავ დავითის სიტყვებს, რომ მკითხველმა ცილი არ დაგვწამოს. აი მათი სიტყვა და ცნობანი:

„ხოლო ამან წარმოუვლინა დესპინათ კავილნიცკო პეტრე ივანიჩი და სამეფო ნიშანი და ლრამატაო, რათა შემდგომად მისა იყოს მემკვიდრეი აე მეფისა გიორგისა დავით და ერთი პოლკი იეგერის წინამძღვრობითა გენერალ ლაზარევისათა, ესენი მოსულნი 1799 წ. მიიღო მეფემან გიორგიმ და ნ დეკემბერს მეფე გიორგიმ ეს იდღესასწაულო ანჩხატის ეკლესიაში.

ამ გვარის ოსტრ ტობით დაარწმუნეს მეფე გიორგი, რომ თქვენ პირობას შევასრულებთ, ნიშნად ამის გიგზავნით ლრამატას და სამეფო ნიშნებსაც, რაის ძალით თქვენს შემდეგ სამეფო ტახტზე თქვენი შეილი იქნება აყვანილიო. ამაზედ თქვენ სარწმუნოთ უნდა იყოთო. ასეთი პირობა მისცა პავლე იმპერატორმა გიორგი მეფეს გიორგის ამის მეტ სხვა არასფერი უნდოდა. მისი ნატვრაც ეს იყო.

მაგრამ დაპირება სიმართლით არ იქმნა შესრულებული. როგორც ყალბის მოტყუილებით დაიწყეს გარსევ. ჭავჭავაძემ და პავლე იმპერატორმა, ისეც ყალბათ გათავდა საქართველოს სამეფოს დალუპვის საქმენი. ამ ბო-

როტ თაღლითობას, ანუ საქართველოს რუსეთის იმპერიასთან ქურდულათ დაკავშირებას აი რა დაეხმარა:

მეფე გიორგის გარსევან ჭავჭავაძე ტყუილის ფიცით არწმუნებდა შემდეგს: — „თქვენ ოლონდ საქართველო პავლეს შეურთეთ და მით შეისრულებთ წადილს, ჯავრს იყრით თქვენის ძმების, და დედი ნაცვლის, თქვენ შემდეგ თქვენს მაგიერ გამეფებულ იქნება დავითი, თქვენი შეილი, მის მეტი სხვა არავინ“. ასე და ამ გვარად დაარწმუნეს მეფე გიორგი.

ამიტომ გიორგი დიდი მადლობელი იყო პავლესი და რაკი გარსევან ჭავჭავაძემ ასეთი ზიკეთე უყო, ამის შემდეგ მალე დადგა ის დღენიც, როცა გიორგი მეფეს სნეულება ძრიელ გაუმნელდა, მეფე შეწუხდა ამ დროს, იგი ჯავრს მიეცა, ვაი თუ შეერთებას რამე დაბრკოლება მიეცეს, არ მოხდეს და მეც მოვკვდე, დარდობდა გიორგი მეფე.

ამიტომაც დარწმუნებულმა გიორგი მეფემ მალე აფრინა სანდო კაცები პავლი იმპერატორის წინაშე და შეუთეალა თვისი დიდი მადლობა. ეს კაცნი დროით ჩავიდნენ პეტერბურგში. გარსევან ჭავჭავაძემ პავლეს აცნობა გიორგი მეფის მილოცვა მის, რომ ძლივს გველირსა მეგობრობა და სიყვარულით.

ამიტომაც პავლე იმპერატორმა მალე გამოუგზავნა იგივე პირნი გიორგი მეფის წინაშე მადლობის სათქმელად. გარსევან ჭავჭავაძე კი დარჩა რუსეთში.

ვიდრე ეს ელჩები მოვიდოდნენ თბილისში, მინამ მეთვ გიორგი ძრიელ შეწუხდა, ერთ დღეს, მეფესთან მეულლე მათი შევიდა და ჰკითხა გიორგი მეფეს ასე:

ბატონო, თუ რამე უბედურება გვეწვია, მაშინ ვის აბარებთ მეფობას, თქვენს შეილს დავითს, თქვენს ძმებს, თუ დედოფალს დარეჯანს? მეფემ მიუგო პასუხი:

დედოფალო, მე აუჩენ დიდსა და ძლიერს პატრონსა, დამიძახეთ რუსის გენერალ ლაზარევსო, გენერალს მალე აცნობეს, ეს მოვიდა მეფესთან, მალე საწერ კალამი მიუტანეს. მეფე გიორგიმ უთხრა შემდგი: „გენერალო დასწერეთ მოკლეთ წერილი პავლე იმპერატორთან და აუწყეთ უკანასკნელი დღენი ჩემნი და ისიც, რომ ანდერძით მე ჩაშიბარებია ცოლშვილი ჩემი და საქართველო“. გენერალმა მალე დასწერა წერილი მოკლეთ, მეფე გიორგიმ ხელი მოაწერა, წერილი მალე მისცეს შიკაკს და აფრინეს რუსეთში პავლე იმპერატორთან. ასე, გენერალ ლაზარევი გახდა მოწამე მის, რომ გიორგი მეფემ საქართველო პავლე იმპერატორს მიუბოთა, ამის რამდენიმე დღის შემდეგ მეფე გიორგი გარდაიცვალა 1800 წ. 28 დეკემბერს.

გიორგის მაგიერ უნდა გამეფებულიყო მე გიორგი შეფისა დავითი, დავითმა მოქმედებაც დაიწყო, მაგრამ ლაზარევი გამეფების ნებას არ აძლევდა. ლაზარევი ძალზე დადგა. დაიცადეთ პავლე იმპერატორის ბრძანება მოვიდესო და მაშინ გამეფდითო. გიორგი მეფემ სა სართველო პავლეს მიართვა და ამიტომ თქვენ პავლეს ნებადაურთველად გამეფება არ შეგეძლიანთო.

მალე პავლე იმპერატორის ელჩებიც მოვიდნე ნიანვარს და 1801 წ. და მეფე გიორგისთვის უნდა გადაეცათ პავლეს თანხმობა, მაგრამ მეფე გიორგი ცოცხალი აღარ დაუხვდათ. ამიტომ პავლეს თანხმობა გიორგის შვილ დავითს გადასცეს.

აქ ამ დროს გენერალ ლაზარევმა გამოიჩინა დიდი გველობა და ბოროტება, ეს დაადგა იმ მცნებას, რომ მეფე გიორგიმ პავლელო პავლე იმპერატორს შეუტოთ, ამიტომ აქ გადატება აღარავის შეეძლება.

საქართველოდან წასული დესანები ჩავიდნენ რუსთში, ამ დროს, მათ პავლე იმპერატორიც არ დაუხვდათ

+551

ცოცხალი. პავლეს მაგივრ ძე მის ალექსანდრეს მოახსენეს გიორგი მეფის გარდაცვალების ანბავი, მასთანვე გადასცეს გენერალ ლაზარავის წერილი პავლე იმპერატორის სახელზედ გაგზავნილი. გენერალ ლაზარევი, როგორც მტერი ქართველთა იმპერატორს პავლეს სწერდა ასე:

გიორგი მეფემ საქართველოს მეფობა თქვენს დიდებულაბას ჩააბარო. ამიტომ ინებეთ თქვენ და საქართველოს მეფობაც მოსპეთ. ეს იყო გიორგი მეფის ანდერძი და მისი ნატვრა". ეს წერილი წაიკითხა ალექსანდრე იმპერატორმა და მის კუუში მოუვიდა, მოიწონა ასეთი რჩევა და მართლაც განიზრახა საქართველოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირებულათ გამოცხადება.

პავლე იმპერატორიც რომ არ მომჟღარიყოს, შეიძლება მაშინ ეს არ მომზღარიყოს, ვინ იცის, ალექსანდრემ კი არც 1783 წ. ტრაქტატი გაიხსენა, არც ის, რომ 1799 წ. მისმა მამამ პავლე იმპერატორმა მეფე გიორგის ფიცით პირობა მისუა, რომ თქვენ ოლონთ ჩეინ შემოგვიერთდით და გაიღევთ ფიცს, რომ საქართველოში ბაგრატიონთა გვარის მფლობელობას არ მოჰსპობთ, თქვენ შემდეგ საქართველოში, თქვენ შვილს დავითს გავამეფებთო. ეს სულ ტყუილი გამოდგა.

ალექსანდრემ არც ამას მიაქცია ყურადღება და არც იმას, რომ საქართველო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ შევიდა 1783 წ. ტრაქტატის ძალით და 1799 წ. პავლე იმპერატორის პირობით და ფიცით და არა გიორგა მეფისაგან 1800 წ. დაწერილ თაახმობის წერილით, რომელ წერილიც გენერალ ლაზარევმა დასწერა, ეს მოხდა ალექსანდრე პირველი დესპოტობით და გენერალ ლაზარევის ბოროტემით.

თუ რა მგლობაც რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრემ გამოიჩინა ქართველების წინააღმდეგ, ამისი ბრალი სულ გენერალი ლაზარევი გახლავთ და ამისი ბოროტი მოქმედება.

გენერალ ლაზარევში რა ნახა მეფე გიორგის შეწუხება და სიკვდილის მოახლოვება, ამან მაშინ იხმარა დიდი

გველობა და ქართველთ სამეფო ოჯახის წევრთა შორის დატრიალდა გველივით, ამით ლაზრევმა გამოიწვია სამეფო პირთა შორის დიდი არევ დარევა, სამეფო ოჯახის წევრთა ერმანეთზედ გადაკიდება, მტრობა, შური და ყოველის უერი საძაგლობის თესვა. რასაც მოჰყა ქართველთა ჭიდიდი ანარქია. ეს არევ-დარევა ოსმალეთ-საქართველებმაც მალე შეიტყვა.

ყოველივე ამ ბოროტების მიზეზნი კი იყვნენ რუსები და მათი ხელმძღვანელი ლაზარევი, გულაკოვი და ამათგან გაბრიყვებული ქართველი ბატონიშვილები. როგორც დღეს მტრობენ ჩვენი „სეიშის“ საქმეს რუსეთის ბოლშევიკები და ამათგან გაბრიყვებული და შესყიდული ქართველთ ბოლშევიკები. სწორეთ ასევე რევლენენ ეს მოსულები საქართველოს სამეფო ოჯახის წევრთა და მით ამზადებდნენ საქართველოს სამეფოს დაღუპვის დღეებს.

ამის მაგალითია შემდეგი: გენერალ ლაზრევს შეუსყიდნია მეფე ერეკლეს შვილი ვახტანგ ბატონიშვილი, რომელიც გამხდარა თავი და ბოლო ბოროტებისა, ძირი ღვარქლის თესვისა. ამ დაუძინებელს მტერზედ აი რას მოწმობს დავრთ ბატონიშვილი: „მმა მეფისა გიორგისა ვახტანგი, რომელი იყო მაშფოთებელი ძმათა, რომელსაცა აბირებდა ბაბახაშვილი (ბ. ბანასოვი დღეს, სომეხი) გლახა. რომელი იყო ესე თავი ყოველისა ბოროტებისა ძმათა შორის, რომლისა მიზეზისა გამო დაეცა ტახტი და სამეფო ბაგრატიონებისა.“

ეს ვახტანგ ყოფილა რუსთაგან შესყიდული, მას ჰქონდა რუსეთის ორდენები და ჩინებიც, კარგი ჯამაგირი და საჩუქრებიც. როგორც მოლალატის და საქადოელოს სამეფოს ოჯახის ამრევის, ამის სურათი მე დავბეჭდე „საქართველოს ცხოვრების“ მეორე წიგნში.

ზ. კიჭინაძე.



947.922

¶ 551